

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირებისა და პროფკავშირების საბჭოს ორგანო  
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1974 წ.  
№ 77 18 აპრილი,  
(5107) 18 ხუთშაბათი.  
შპს 3 კაპ.

გაზეთი გამოდის  
1984 წლის  
18 აპრილიდან

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი  
აოკაფემბლიონთა



სურათზე: სსრ კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტთა შეხვედრის მომენტი. შიბას ფლობს ა. შალცევი.

ბ. სვეტლანოვის ფოტო. („სოვეტსკი სპორტი“).

## რამაზ ხარშილაძემ თავი ისახელა

ამას წინათ ვარშავაში ჩატარდა ძიუდოსიტა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთის, გერმანიის, გერმანიის, იტალიის, უნგრეთისა და პოლონეთის უძლიერესი ათლეტები. სსრ კავშირიდან ამ ასპარეზობაში გამოდიოდნენ საქართველოს ძიუდოსიტები.

წარმატებას მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭიდავემ, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა რ. ხარშილაძემ, რომელიც გამოდიოდა მისთვის ურველო წონაში — ქვებძიმში. ხარშილაძემ პირველივე შერკინება პოლონელ პიტან დიდი უპირატესობით მოიგო და ლიდერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. შემდეგ ქართველმა ძიუდოსიტმა ასევე იილად დაამარცხა პავაში (პოლონეთი) და ფეკეტი (იტალია).

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი ფინალური ტილიდი იუგოსლავიელ ფეკელანთან. ხარშილაძემ ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა თავისი ძალა და I ადგილი დაიკავო.

მეორე ჩვენი თანამემამულე ა. მუხავეი, რომელიც ასევე ზედა წონის კატეგორიაში (შიმში) ასპარეზობდა, III ადგილზე დარჩა. მუხავემა წააგო ერთადერთი შეხვედრა, ისიც პირველ წრეში, გერმანიის წარმომადგენელ ბაიერსთან, რომელიც შემდგომში საპატიო კავრცლბეგის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ყველა დანარჩენი შერკინება მუხავემა წარმატებით დაამთავრა, მაგრამ, ახალი წყების თანახმად, I ადგილისთვის ბრძოლის უფლება აღარ ჰქონდა.

დანარჩენი ჩვენი ათლეტები გ. იობიძე, ა. წიკლაური და ა. იბრაჰიმე თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ.

საერთაშორისო ტურნირში კი წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მარიანი (იტალია), ტალიამ, ადამჩიკა (ორივე — პოლონეთი), ხარშილაძემ (საქართველო) და ბაიერსმა (გერმ.). აბსოლუტურ წონის კატეგორიაში პირველობა არ გათამაშებულა.

## ასეც უნდა ყოფილიყო

ჩელიაბინსკი, 16 აპრილი (ტელეფონით). იუნიორ ძიუდოსიტთა საკავშირო პირად-გუნდურმა ჩემპიონატმა ერთსულ კიდევ ცხადყო, რომ მაღალი კლასის ოსტატთა ძირითადი შეხვედრა საქართველოს მხარეს. ამიტომაც ითვლება ეს რესპუბლიკა ერთ-ერთ საბაზო ცენტრად.

ახლა მას დაემატა კიდევ ორი ცენტრი — მაიკოპი და ჩელიაბინსკი, რომელთა წარმომადგენლებმა ამ ტურნირშიც გამოიჩინეს თავი.

რაც შეეხება საორტაშორისო ტურნირებსა და უწყვეტებს, აქ ყველაზე უკეთ აქვთ საქმე „დინამოს“, შეიარაღებულ ძალებსა და „ბურევესტნიკს“. ჩელიაბინსკში მთავარი გუნდური ბრძოლა სწორედ ამ სამ კოლექტივს შორის გაჩაღდა.

პირად ჩათვლაში, როგორც მოველოდით, ყველაზე მეტად საქართველოს ათლეტებსა ისახელეს თავი. მათ მიიღეს ერთი პირველი, ორი მეორე და ოთხი მესამე ჯილდო. საქართველოს ძიუდოსიტებმა განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს საშუალო წონაში, სადაც სამივე საპირისპო ადგილი ამ რესპუბლიკის წარმომადგენლებს ხვდათ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა მძიმეწონისაში მ. გრიფი. მან ჯერ კიდევ თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინა თავი, როგორც ენერგიულმა და უშიშარმა მებრძოლმა. აქ, ჩელიაბინსკში, გრიფი ბევრად სჯობდა მეტოქეებს.

### 3. სინიცინი.

გთავაზობთ ტურნირის პრიზიორთა სია:

63 კმ. 1. ვ. შვენიციკოვი („ბურევესტნიკი“), 2. ნ. სოლოდუნინი („დინამო“), 3. ა. იბრაჰიმე („კოლმეურნი“) და ა. ჩესტეივი (შეიარაღებული ძალები).

70 კმ. 1. ა. სპიროვი („სპორტაი“), 2. ვ. ზორკოვი („ბურევესტნიკი“), 3. ა. გუდიკოვი („დინამო“).

80 კმ. 1. დ. საბულიანი („სპორტაი“), 2. ჯ. კვიციანი („ბურევესტნიკი“), 3. გ. იობიძე და ნ. გერასიმოვი (ორივე — „დინამო“).


93 კმ. 1. გ. ბეთანოვი, 2. თ. ყურაშვილი (ორივე — „დინამო“), 3. რადჩენკო და ზ. ბახტაძე (ორივე — შეიარაღებული ძალები).

მძიმე. 1. მ. გრიფი („დინამო“), 2. ნ. ტაურინი (შეიარაღებული ძალები), 3. ვ. მერკვილაძე („დინამო“) და ნ. ზანკინი (შეიარაღებული ძალები).

მუნდური აღმშენებელი. 1. „დინამო“, 2. შეიარაღებული ძალები, 3. „ბურევესტნიკი“.

სურათზე: 93 კგ წონის კატეგორიაში ფინალური შეხვედრის მონაწილენი ვ. ბეთანოვი (მარცხნივ) და თ. ყურაშვილი. გამარჯვება ბეთანოვმა.

ბ. ტეუშის ფოტო. („სოვეტსკი სპორტი“).



9:2, 17:0 ✓

პელსინსკი, 16 აპრილი. მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერი — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები დღეს პოლონელ გუნდს უთამაშა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა გამარჯვება არ გასჭირვებიათ — 9:2 (3:0, 3:1, 3:1). გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინა მცველმა სუხიმ, რომელმაც მეტოქის კარში ორი შიბა გაიტანა. ასევე ორი გოლი გაიტანეს მისმა თანაგუნდელებმა მარტინცმა და ჰლინკამ.

გერმანელთა კარი თითოჯერ აიღეს ნეფომანსკიმ, შტიასტნიმ და ებერმანმა. საბასუო შიბები გაიტანეს ბრაუნმა და პრუსამ.

როც ცხრილის პირველი სტრიქონი დაიკავა საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც შიბების ბალანსით აჯობა ჩეხოსლოვაკიის გუნდს.

### გათამაზების ცხრილი

მდგომარეობა	17 აპრილისთვის	თ. მ. ფ. შ. ქ.
სსრ კავშირი	8 7 0 1	58:16 14
ჩეხოსლოვაკია	8 7 0 1	52:12 14
შვეცია	7 3 1 3	22:16 7
ფინეთი	7 2 2 3	21:27 6
პოლონეთი	8 1 1 6	17:55 3
გერმანია	8 1 0 7	15:59 2

ქოთა სპორტსმენი ა. იაკობსონი. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ნაკრებმა წინ — 74:49:42. II ადგილზეა პოლონეთის გუნდი, ხოლო III — შვედების კოლექტივი.

30 მინუტი, 16 აპრილი. კანადის თასის გათამაშებაში მოსაპარტეზო მინუტში წყალში მტკიცეობა ა. კოსენკოვმა კომპიდან შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა (495,72 ქულა), წინ მხოლოდ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის, იტალიელი კ. დიბიასი (534,33 ქულა) გაუშვა. დიბიასი ტრამპლინიდან ტომშიც საუკეთესო აღმოჩნდა — ფინალში აჯობა თანამემამულე ფ. კანოტს. კანოტომ ნახევარფინალში სძლია მოსკოველ ვ. სტრასუსს. ქალთა შორის ორივე სახეობაში მაღალი არ ჰქავდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონს უ. კნაპეს (შვეცია).

## ნიჭიერი შიათურული გოგონა

ეთერ ფხალაძე ქიათურის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მას სპორტულ ძალიან უყვარს — წარმატებით იცავს თავისი სკოლისა და ქალაქის ღირსებას მოკლდარაკეთა შეჯიბრებებში. ამას წინათ ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სახალხოში გამართულ შეჯიბრებაში ეთერ ფხალაძემ 20 მინუტი წილეს შორის პირველობა დაიკავო.



თ. შეყრილაძის ტექსტი და ფოტო.

## გუნდის...

თბილისის კიროვის სახელობის პარკის მოედანზე დაიწყო „კლასის I ჯგუფის ქალთა გუნდების საკავშირო პირველობა ხელბურთში, ამ დღის მატჩები ასე

დამთავრდა: „კოლოსი“ (ბერგოვო) — „ბურევესტნიკი“ (ერევანი) 22:17 (11:11), „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 19:22 (8:11), „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) — „შეისა“ (ცილინუსი) 16:17 (10:8), „ცენტრეტი“ (კრასნოთარსკი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 17:21 (8:10).



# უთანაბრო კალაზი და უხეირო უაღაზი

აპრილის პირველ კვირას ბათუმში ჩატარდა რესპუბლიკური მძლეოსნური კროსის ფინალური შეჯიბრება „პარკ-დის“ პრიზზე. საასპარეზოდ შეგროვდა ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მხოლოდ 15 გუნდი. ისინი სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვნენ. პირველ ჯგუფში თბილისის (ორი), აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის კოლექტივები გამოდიოდნენ. ამ ჯგუფში გუნდური ადგილები ნაწილდებოდა 13 მონაწილის მიერ ყველა დისტანციაზე ნაწილები შედეგების მიხედვით, მეორე ჯგუფში კი (წალკის, ბოგდანოვის, მახარაძის, თელავის, მცხეთის, შუგდიდის, ახალციხის რაიონები) — 11 მძლეოსნის მარჯვენა ფეხის ფაშით. სულ სტარტზე 148 მონაწილე გამოვიდა.

ყველა კოლექტივის შემადგენლობაში თითო ვეტერანი მძლეოსანი მანცუნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დებულების ამ პუნქტის შესრულებისთვის მხოლოდ ორიოდე გუნდი გაისარჯა. ამიტომ ვეტერან ქალთა შორის 1000 მეტრზე ასპარეზობაში გამარჯვებისთვის მარტო თელაველი ნ.

აბრამიშვილი (4.10,4) და შუგდიდე-ლი ნ. ბახტაძე (4.16,0) იბრძოდნენ. 3000-მეტრიან მანძილზე ვეტერან გათა შეჯიბრებაში 6 კაცი ჩაება. მწვერთელ ი. უშაკოვს (თბილისი 1) პირველობისთვის საინტერესო ბრძოლა შესთავაზა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს რეფერენტმა, 55 წლის ვ. ოგნემა, რომელიც ბოლოს 2 წამით ჩამორჩა. უშაკოვის შედეგია 11.40,0. III ადგილი დაიკავა ფოთელმა ბ. რუსაია — 12.56,0.

ახალგაზრდების მარჯვენა ფეხის სახარბიელო როლი იყო. მეორე თანრიგის ნორმატივის შესრულება მხოლოდ ოთხმა შეძლო, მესამე თანრიგის ნორმატივს კი 22 სპორტსმენი შესწავდა.

მეორე მონაწილე ბათუმში საბრძოლველად კი არა, სასეირნოდ ჩამოვიდა. მავალითად, თბილისის მეორე გუნდის წევრებმა ე. კლოკაძემ და ე. მოჭავემ, რომლებსაც გუნდი დიდ იმედს ამყარებდა 1000 მეტრზე გოგონათა შეჯიბრებაში, მთელი დისტანცია ჩქარი ნაბიჯით გაიარეს, ფინიშთანაც ხელიხელჩაკიდებული მივიდნენ და ბოლო ადგილები დაიკავეს — 4.44,0. კლოკაძე ყურადღებას იმით გამოახვილებთ, რომ იგი 400 მეტრზე რბე-

ნაში საქართველოს ჩაყრების წევრია. კოლექტივის სპორტული ინტერესის აბუზად ავადება არავის ეპატიება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისის მეორე კოლექტივი (1:57.52,6) პირველ გუნდას (1:53.10,8) სწორედ ასეთი სპორტსმენების დაუდევრობის გამო დამარცხდა, თორემ სხვები ყველა დისტანციაზე ყოველი მეტრისთვის შეუპოვრად იბრძოდნენ. III ადგილზე არიან სამხრეთ ოსეთის მძლეოსნები — 2:00.24,6. მეტისმეტად მოუზარებელი აღმოჩნდნენ ქუთაისის (2:06.36,0), აფხაზეთის (2:09.11,8), აჭარის (2:14.25,0), განსაკუთრებით კი ფოთის (2:21.21,0) მძლეოსნები.

მეორე ჯგუფში ძალები შედარებით თანაბრი გამოდგა. გამონაკლის წარმოადგენდნენ მხოლოდ წალკისა და მახარაძის რაიონების ნაკრები კოლექტივები. ოღონდ ისინი სიძლიერის მიხედვით შეჯიბრების სხვადასხვა პოლუსზე მოექცნენ: წალკელებმა ყველას აშკარად აჯობეს (1:45.31,4), ხლო მახარაძელები ყველას ასევე აშკარად ჩამორჩნენ — 2:09.00,2.

II ადგილი დაიკავა ბოგდანოვის კოლექტივმა (1:55.05,0), III —

შუგდიდის ნაკრებმა (1:57.02,0), რომელმაც ახალციხელებს საბოლოო ჯამში 37 წამით აჯობა.

მონაწილეთა უმეტესობა კროსითვის უხერხულ მომზადებულ იყო, ეს პირადი ტურნირისთვის ჩანს. გოგონათა შორის 1000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა დ. ანანიკოვამ (წალკა) 3.33,0 აჩვენა. ი. სტროგეცკაია (თბილისი 1) და ლ. პილშიკი (ახალციხე) ფინიშთან ერთდროულად მივიდნენ — 3.32,0. მახარაძელებმა ს. ლუწა-ნმა კი ამავე მანძილის გავლას 4.44,1 მონაწილმა. ლუწანის გარდა, 4 წუთზე უარესი შედეგი 37 მონაწილემ კიდევ 17 გოგონამ აჩვენა.

1500 მეტრზე მორბენალ ქალიშვილებში სახარბიელო შედეგი არც გამარჯვებულ თ. მაციანს (თბილისი 1) აქონდა, ბოლო ადგილზე გასულმა ლ. კაკვიანი (ფოთი) კი რბენა 7 წუთისა და 38 წამის მეორე დამატარა. ფოთელი ქალები ამ მხრივ 2000 მეტრზე რბენაშიც გამოირჩეოდნენ. ამ დისტანციაზე გამარჯვებული ე. შურნაჩიანი (წალკა) და ფოთელი ი. ჩაქვარასა შედეგებს შორის სხვაობამ 2 წუთი და 44,8 წამი შეადგინა. განსაკუთრებით გვაოცებს ამ დისტანციაზე უკვე ცნობილი მორბენლების ვ. გოლოზორიძისა (აჭარა, 9.23,0) და ტ. ივანოვას (თბილისი 11, 9.23,0) ჩამორჩენა.

ამ მხრივ ვერც ჯაბუკები, იუნიორები და ვაჟები დაიტრამბებენ. 3000 მეტრზე რბენაში შუგდიდელებმა მ. მარდანიამ თბილისელ ს. ხაჩატრიანთან 3 წუთზე მეტი წააგო. 8000 მეტრზე რბენაში რუსთაველ ვ. ნესტორენის ფოთელი რ. თოდუა 9 წუთით ჩამორჩა.

ერმა მსკეტი, ყოფილია მბაუმში უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით ჩამოვიდა. კროსში ასეთი რამ იშვიათი რომ იყოს, კიდევ არაფერს გიტყვოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, სურათი წლიდან წლამდე არ იცვლება. ამიტომაც ხდება, რომ საქაშვირო კროსებში საქართველოს კოლექტივი მუდამ კულში მირჩინალებს, მდგომარეობის გამოსწორებისთვის კი თავს არავინ იწყებს.

რ. მალრაძე.  
(ჩვენს სვეც. კორ.)  
ბათუმი.

### სხვა პრიზიორთა ტექნიკური შედეგები

ქალიშვილები. 1500 მ. თ. მაციანი (თბილისი 1) — 5.20,0, ი. ლივა (თბილისი 11) — 5.37,0, ნ. სულაქოვსკაია (თბილისი 1) — 5.40,0. ქალები. 2000 მ. ე. შურნაჩიანი (წალკა) — 7.32,2, ე. ნანთარია (აფხაზეთი) — 7.43,0, ლ. მაკაროვა (ქუთაისი) — 7.49,0.

8000 მ. ჯაბუკები. ს. ხაჩატრიანი — 9.42,8, ვ. მანაევი (ორივე — თბილისი 1) — 9.55,0, ვ. ტასოევი (სამხრეთ ოსეთი) — 10.05,0. იუნიორები. ა. ბოლოშვილი (თბილისი 11) — 9.34,8, ვ. გათიკოევი (სამხრეთ ოსეთი) — 9.35,0, მ. გურგენიძე (ქუთაისი) — 9.50,0. ვაჟები. 8000 მ. ვ. ნესტორენი (რუსთავი) — 25.45,4, ხ. ქაჯინაძე (თბილისი 1) — 26.21,0, ე. გათიკოევი (სამხრეთ ოსეთი) — 26.21,0.

# ფარღის ასლაქა

22 აპრილს ავსტრიის დედაქალაქში დაიწყო ვერობის ჩემპიონატი ბადმინტონში. ამ ასპარეზობაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის სპორტსმენები, რომელთა გამოსვლაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიო ბადმინტონისტთა წრეებში. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არის შესული ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაციაში და დებიუტანტის გამოვლანაზე მებრალა დამოკიდებული ამ საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება.

„ოლოს“ მკითხველებისთვის უნდა გეტყვოდეს არ იქნება ვერობის ჩემპიონატის წინ გაეცნოს საერთაშორისო საბრძოლველ ბადმინტონის თანამედროვე მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ბადმინტონის ისტორია საუკუნეებით განისაზღვრება, ხლო არაოფიციალურ მსოფლიო პირველობებს უკვე 1899 წლიდან ცვლიდა ინგლისის ჩემპიონატები, ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაცია (იფ) მხოლოდ 1934 წელს ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი იყო ინგლისელი ჯ. თომასი. ფედერაციაში, რომელშიც მაშინ მხოლოდ 9 ქვეყანა (დანია, ინგლისი, საფრანგეთი, პოლანდია, კანადა, ახალი ზელანდია, შოტლანდია, უელსი და ირლანდია) გაერთიანდა, დღეისთვის შედის 54 სახელმწიფო, რომელთა შორის უკვე 500000 აქტივისტი და 15000 კლუბი დგას.

1939 წელს საერთაშორისო ფედერაციის პირველმა პრეზიდენტმა სერ ჯორჯ თომასმა ამ გაერთიანების წევრებს წინადადება მისცა გაეთამაშებინათ თავიანთ ორგანიზაციის თასი და გამარჯვებულთათვის ჯილდოც თვითონ დაეწავს. ეს იყო 71 სმ სიმაღლის ვერცხლის თასი, რომელსაც თავზე გაკეთებული ჰქონდა ბადმინტონის მინიატურული ფიგურა. ასე ჩაყარა საფუძველი გათა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ბადმინტონისტებისთვის იგივეა, რაც ჩოგბურთელებისთვის დევისის თასი.


ამ ძვირფასი პრიზის გათამაშება დაიწყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — 1948 წელს და ტარდება სამ წელიწადში ერთხელ. თომასის თასი ყველაზე მეტჯერ (ოთხჯერ) აქვთ მოპოვებული მალაიზიისა და ინდონეზიის სპორტსმენებს. დღეისთვის მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონია ინდონეზიელი რ. პარტონო.

ქალთა საუკეთესო გუნდის გამოვლანად 1957 წლიდან იწყობა ინგლისის მრავალგზის ჩემპიონის სუზანა უბერის თასის გათამაშებები, რომელიც ბოლო წლებში იაპონელთა გუნდის მფლობელობაშია. ქალთა შორის მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი იაპონიის გუნდის წარმომადგენელი ნ. ნაკაიამა გახლავთ. უბერის თასის შემდეგ ყველაზე პო-

პულარულია ჰელვეციის თასის გათამაშება, რომელიც შვეიცარიის ბადმინტონის საზოგადოებამ დააწესა 1962 წელს.

ვერობაში ამ თამაშის განვითარებამ დიდი როლი შეასრულა გფრის ბადმინტონისტთა არაოფიციალურმა აქტივობამ. მათ მხოლოდ 1957 წელს (ისევე როგორც სსრ კავშირში) დაიწყეს ოფიციალური შეჯიბრებების ჩატარება და უკვე 1967 წელს მანდელი პრეზიდენტის პ. ბრტის (დიუსელდორფი) თაოსნობით საფუძველი ჩაუყარეს ვერობის ბადმინტონისტთა კავშირს, რომლის წევრებიც არიან ბელგია, ჩემბოსლოვაკია, დანია, ინგლისი, ფინეთი, საფრანგეთი, ირლანდია, პოლანდია, ნორვეგია, შოტლანდია, იუგოსლავია, შვეიცია, შვეიცარია, ვერმანის ბადმინტონის საზოგადოება (გფრ), გერმანიის ფრთიანი ბურთის საზოგადოება (გდრ) და ავსტრია.

ბადმინტონის მოყვარულთათვის დიდად სასიხარულო იყო ის, რომ სპორტის ეს სახეობა მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების დროს იყო დემონსტრირებული. საჩვენებელ მატჩებში 11 ქვეყნის წარმომადგენლები



მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი რ. პარტონო.



მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ნ. ნაკაია.

# ეს პარტია: დასმარა სახელმწიფოლოკი

მძლეოსნობაში მომუშავე ქართველი სპეციალისტები დამხმარე ლიტერატურით მაინცდამაინც განებივრებული არ არიან, ქართულ ენაზე მეთოდური სახელმძღვანელოების უქონლობა კი დიდად აფერხებს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებას.

ამ სერიოზული ნაკლის გამოვსახსნობად კარგი საქმე გააკეთა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა, რომელმაც ქართულ ენაზე გამოუშვა რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ნ. ლობჯანიძის „მძლეოსნური ტეორიების“ სერია.


სერია ხუთი წიგნისგან შედგება. პირველ წიგნში განხილულია ტეორიების რეკონსტრუქციის საერთოდ, დანარჩენ წიგნებში — ბალრის ტეორიის, ბირთვების, შუბისა და ურის ტეორიის ტექნიკა, ამ სახეობათა სწავლების მეთოდები. აქვე მოცემულია ვარჯიშთა ციკლი, წვრთნის სანამუშაო წლიური გეგმები, მტყორცნის ყოველკვირეული წვრთნის სანამუშაო გეგმები შეჯიბრების წინ, მოსალოდნელი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები, კინოგრაფები.

ცალ-ცალკეა განხილული დამატარებლისათვის და მოალოდნელი მოსალოდნელი წვრთნის ძირითადი ამოცანები, საშუალებანი, მოცემულია მეთოდური მითითებანი. ყოველ წიგნს ცალკე აქვს შემადგენელი ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსნობის მოცემული სახეობის განვითარების მოკლე ისტორიული აღმოხილვა.


მართალია, მცირე ტირაჟით (500-500 ცალი) როტოპრინტზე დაბეჭდილი წიგნები ხარვეზებისგან დაზვევული არ არის, მაგრამ ეს ავტორის დამსახურებაა სერიაში, როგორც აღვნიშნეთ, განკუთვნილია მხოლოდ სპეციალისტი მწვრთნელებისთვის. მათ შეუძლიათ წიგნები უსასყიდლოდ მიიღონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტი.

ურთიერ არ იქნება, თუ ეს წიგნები მცირეოდენი გადაშეშვების შემდეგ სასტამბო წესით უფრო მასობრივი ტირაჟით დაბეჭდება. საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ უნდა იზრუნოს.

პ. კიმიხტარიშვილი.



თომასის თასი.



ბელვეციის თასი.

პარტონო (რ. პარტონო) და ნაკაია (ნ. ნაკაია) მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები.



გერმანელთა შერეული წყვილის გამოსვლა მიუნჰენის ოლიმპიადაში სადემონსტრაციო მატჩის დროს.

პარტონო (რ. პარტონო) და ნაკაია (ნ. ნაკაია) მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები.

პარტონო (რ. პარტონო) და ნაკაია (ნ. ნაკაია) მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები.

საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

**სამსონაძე**

**გურლიშვი**

რაიონის მოსწავლე ფეხბურთელთა პირველობაში 10 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი ხვდომს ღრანდის საშუალო სკოლის მოსწავლეებს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ბაბუშარისა და გულრიფშის გუნდები. პრიზიორები დიალოგებით დაჯილდოვდნენ.

**შ. ჯალაღონია.**



